გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები და საქართველო

კონკურენცია კეთილდღეობის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალებაა

ი. ერჰარდი

რამაზ ოთინაშვილი
სტუ-ს პროფესორი
E-mail: otin-44@mail.ru
ლილი უშვერიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში აღნიშნულია, რომ განვითარებული და ჯანსაღი კონკურენცია ინვესტიციების მოზიდვისა და ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. თანამედროვე პირობებში ბიზნეს-კომპანიები აღმოჩნდნენ ახალ კონკურენტულ გარემოში. განისაზღვრა და გამოიკვეთა კონკურენტი მხარეების ინტერესების მრავალასპექტიანობა, აგრესიულობა და დინამიზმი. ამ პირობებში თანამედროვე მენეჯმენტში თავს იჩენს ახალი პრობლემები, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას მართვის მოწინავე მეთოდების გამოყენებით.

არსებული მრავალი სამეცნიერო ლიტერატურის მიუხედავად აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არასათანადოდაა შესწავლილი ინტეგრირებული/კომპლექსური მიდგომის საკითხები, თანამშრომლობის და კონკურენციის ურთიერთობები. კონკურენცია არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA).

სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო დონეზე იყოს კონკურენტუნარიანი. 2014 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით საქართველომ 69-ე პოზიცია დაიკავა და სამი ადგილით ზემოთ გადაინაცვლა 2013 წლის პოზიციიდან. მისასალმებელია, რომ უკვე მეოთხე წელია, საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს აღნიშნულ ინდექსში.

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან (WEF) ერთად კონკურენტუნარიანობის საკითხს იკვლევს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (The Global Ccompetitiveness Index), რომელიც ზომავს მაკრო ეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. დღეს საქართველო 66-ე პოზიციაზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა 4,22 შეადგენს. აქაც მოსაწონია, რომ ჩვენმა ქვეყანამ პოზიცია წინა წელთან შედარებით 3 საფეხურით გაიუმჯობესა.

საჭიროა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში აღნიშნული კრიტერიუმების გაუმჯობესებაზე მომავალშიც მუდმივად მუშაობა. რადგან მიუხედავად კონკურენციის უგულებელყოფის მრავალი ცდისა, რასაც ქადაგებდნენ რადიკალური ფუნდამენტური და რელიგიური კონცეფციები, საზოგადოებამ ჯერ ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევს კონკურენციის გარეშე ცხოვრებას. ვინაიდან კონკურენცია განვითარების მთავარი მოტივია. კაცობრიობის წინაშე ყოველთვის იდგა არა კონკურენციის უგულებელყოფის, არამედ მისი ცივილურ, ადამიანურ საზღვრებში მოქცევის პრობლემა. ადამიანი კონკურენციის ფენომენს აიძულებს იმუშაოს საზოგადოების სასიკეთოდ. ზოგ ქვეყანაში ამას ახერხებენ წარმატებით, ზოგში კი ვერ.

საქართველოში არსებულ ბიზნესის განვითარების პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კონკურენციის სფეროში არსებული პოლიტიკა. ვინაიდან განვითარებული კონკურენცია ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ამიტომ, ქვეყანაში მისი გამართული მუშაობა, ინვესტიციების მოზიდვის და ბიზნესის ეფექტური განვითარების საწინდარია, რაც თავის მხრივ მომხმარებელთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას და მათი კეთილდღეობის ამაღლებას უზრუნველყოფს.

21-ე საუკუნის დასაწყისში ბიზნეს-კომპანიები აღმოჩნდნენ ახალ კონკურენტულ გარემოში. განისაზღვრა და გამოიკვეთა მხარეების ინტერესების მრავალასპექტიანობა, აგრესიულობა და დინამიზმი. ამ პირობებში კომპანიების თანამედროვე მენეჯმენტში თავს იჩენს ახალი პრობლემები, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას მართვის მოწინავე მეთოდების გამოყენებით.

დღეს იმარჯვებს ის, ვინც ფლობს ინფორმაციას. სწორად აფასებს გარემოში განვითარებულ მოვლენებს და აქვს სწრაფი ადაპტირების/რეაგირების უნარი. კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და შემდგომ მისი შენარჩუნება ერთ-ერთი ყველაზე მთავარი (თუ არა უმთავრესი) ამოცანაა, რის წინაშეც დგას ბიზნეს-ორგანიზაცია. ბრძოლა არსებობისთვის და ბუნებრივი გადარჩევა ისევ აქტუალურია. სამყარო ვითარდება, მაგრამ არ იცვლება თამაშის წესები. სტრატეგიული პოზიციონირება წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია მძაფრი კონკურენციის პირობებში. ის ერთდროულად გულისხმობს როგორც ობიექტის შიგნით არსებული რესურსების მართებულ განაწილებას და განვითარებას, ასევე უწყვეტ რეჟიმში განახლებული ინფორმაციის შეცნობას გარემოში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ადაპტირების უნარს.

როგორც ცნობილია კონკურენციას და თავისუფალი ბაზრის განვითარებას მნიშვნელოვნად აზიანებს და ხელს უშლის ისეთი პროცესები, როგორიცაა:

- მონოპოლიური საქმიანობა;
- კონმპანიების დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენება;
- საწარმოთა შერწყმა ბაზარზე კონკურენციის შესუსტების მიზნით;
- ანტიკონკურენციული შეთანხმებები (მაგ.: კარტელური შეთანხმებები და სხვა);
- დემპინგური ფასის გამოყენება და სხვა.

კონკურენციის თემასთან დაკავშირებით ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს მრავალი სკოლის და მიმდინარეობის მთელი რიგი კვლევები. „კონკურენცია" როგორც ეკონომიკური კატეგორია ფორმულირებულ იქნა XVIII საუკუნეში ეკონომიკური მეცნიერების ისეთ ცნობილი წარმომადგენლების მიერ, როგორებიც არიან: ა. *სმითი* და *დ. რიკარდო*. კონკურენცია *ადამ სმითის* აზრით აიძულებს ადამიანებს გონივრულად გამოიყენონ რესურსები და შემოსავალი, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას. თუმცა კონკურენციას არ შეუძლია ყველაფრის უზრუნველყოფა. მაგალითად, ქვეყნის თავდაცვა. სმითი ამბობს: *„დაცვა არის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სიმდიდრე"*.[1] ა. *სმითის* მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეას. იგი თითქმის სრულიად უარყოფდა სახელმწიფოს ჩარევას სამეურნეო საქმიანობაში და ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად ეკონომიკური თავისუფლება მიაჩნდა. სმითი მოითხოვდა კონკურენციის თავისუფლებას. სახელმწიფოს აკისრებდა მხოლოდ ისეთ ფუნქციებს (ქვეყნის თავდაცვა, ფულადი ბანკნოტების გამოშვება და ა.შ.), რაც დადებით როლს შეასრულებდა თავისუფალი კონკურენციის, ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფაში.

ნეოკლასიკური სკოლის მიმდევრები (*ა.მარშალი, ა.კურნო*) ამტკიცებდნენ, რომ მონოპოლია, როგორც თავისუფალი კონკურენციის ანტიპოდი ამცირებს ეკონომიკის ეფექტურობას. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ბაზარი ქმნის ეკონომიკური ზრდის საუკეთესო პირობებს. ამიტომ, სახელმწიფოს ჩარევამ არ უნდა შეზღუდოს ბაზარი, არამედ უნდა უზრუნველყოს ყველა პირობა საბაზრო ურთიერთობების, განსაკუთრებით კი - კონკურენციის განვითარებისათვის.

ინოვაციური განვითარების თეორიის მიხედვით *(იოსებ ა. შუმპტერი)* კონკურენციის საფუძველს წარმოადგენდა მუდმივი/უწყვეტი ინოვაციების დანერგვა ყველა დონეზე: ტექნოლოგია, წარმოება, მართვა და სხვა.

ნეოავსტრიული სკოლა. *(ფ. ჰაიეკი)* კონკურენციას განსაზღვრავს, როგორც დინამიურ პროცესს. ეფექტური კონკურენცია დამყარებულია „ცოდნის ნაკლებობის"[2] (Knowledge Problem) ძიებაზე და ინფორმაციის მონოპოლიაზე, რომელსაც ფლობს თითოეული ინდივიდი. „კონკურენტულ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც იღებს არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს წინასწარ განსაზღვრული ცვლილებების ფონზე".

ჰაიეკი თავისუფალი ეკონომიკის მომხრეა (სახელმწიფოს ჩარევის გარეშე). ის თვლის, რომ კონკურენცია თვითონ აწესებს წესრიგს და ქმნის საჭირო წონასწორობას. კონკურენტულ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც გაიგო, შექმნა, გამოიგონა რაიმე ახალი, ვინც შეძლო დაეჭირა საზოგადოებაში „გაფანტული ცოდნა".[3] სწორედ ამიტომ ჰაიეკი კონკურენციას უწოდებს „აღმოჩენის პროცედურას".[4]

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კონკურენციის თანამედროვე თეორიაში უცხოელმა მკვლევარებმა *ა.ბრანდენბურგერმა, ბ. ნეილბაფმა, დ.ტაკსპოტმა* და სხვებმა, რომლებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე ეფექტური კონკურენციის ფორმაა "თანამშრომლობა-კონკურენცია"(co-competition).

სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა ბაზრისა და სახელმწიფოს როლის გაწონასწორებას ცდილობს, ბალანსის დაცვას პიროვნებას და საზოგადოებას შორის. მათი (ოიკენის კონცეფცია) ლოზუნგი იყო: „კონკურენცია - რამდენადაც შესაძლებელია, დაგეგმვა – რამდენადაც აუცილებელი".[5]

დღეს არსებული მრავალი სამეცნიერო ლიტერატურის მიუხედავად აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, არასათანადოთ, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, არის გამოვლენილი კონკურენციის შესწავლის ინტეგრირებული/კომპლექსური მიდგომის საკითხები, თანამშრომლობის და კონკურენციის ურთიერთობები.

კონკურენცია არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) თანახმად. ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი ქართული კანონმდებლობის აღსრულება საშუალებას მისცემს საქართველოს ჩამოაყალიბოს თავისუფალი, კონკურენტული და ევროკავშირის მოთხოვნებთან თავსებადი ბაზარი.

სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკა გლობალურ დონეზე იყოს კონკურენტუნარიანი. ქვეყნებს შორის გლობალური კონკურენტუნარიანობის საკითხზე მუშაობს შვეიცარიული ორგანიზაცია – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF). აღნიშნული ორგანიზაცია 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს-გარემო. აღნიშნული ანგარიში მთავრობებს ეკონომიკური ზრდის ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენაში, ხოლო ბიზნეს-სექტორს მომავალი ინვესტირების გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

2014 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში შესწავლილია 144 ქვეყნის კონკურენტუნარიანობა. ანალიზი ჩატარდა 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით. თითოეული ქვეყანა შეფასდა 119 კრიტერიუმით, აქედან, 33 კრიტერიუმის (მაგალითად, მთავრობის ვალი, ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია, გადასახადების დონე, ექსპორტი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა და სხვა) წყარო არის ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, ხოლო დანარჩენი კრიტერიუმებისთვის (მაგალითად, საკუთრების უფლებები, პოლიტიკოსებისადმი ნდობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, პოლიტიკის გამჭვირვალობა, კრიმინალი, მედიცინისა და განათლების დონე, ინფრასტრუქტურის ხარისხი და სხვა) ინფორმაციის წყარო არის მცირე, საშუალო და დიდ საწარმოთა პირდაპირი გამოკითხვა, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ახორციელებს. გამოკითხვა კონფიდენციალურია და პასუხების ხილვის შესაძლებლობა მხოლოდ შვეიცარიის მხარეს აქვს.

საქართველოდან კვლევაში მონაწილეობას იღებს 200-მდე ფირმა, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით ყოველ წელს შეირჩევა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კვლევა ბიზნესგარემოს მიმართ მეწარმეთა დამოკიდებულების აღქმას უფრო ეყრდნობა, ვიდრე ოფოციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას.

2014 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით საქართველომ 69-ე ადგილი დაიკავა და სამი ადგილით ზემოთ გადაინაცვლა 2013 წლის პოზიციიდან. მისასალმებელია,



გრაფიკი 1. საქართველოს პოზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში

ცხრილი 1

კრიტერიუმები ჯგუფების მიხედვით	პოზიცია მსოფლიოში	ქულა (მაქსიმუმი 7)
საბაზისო მოთხოვნები	**48**	**4.9**
ინსტიტუტები	48	4.2
ინფრასტრუქტურა	59	4.3
მაკროეკონომიკური გარემო	48	5.1
ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება	63	5.8
ეფექტიანობის მასტიმულირებელი	**79**	**3.9**
უმაღლესი განათლება და ტრენინგები	92	3.9
საქონლის ბაზრის ეფექტიანობა	60	4.4
შრომის ბაზრის ეფექტიანობა	41	4.5
ფინანსური ბაზრის განვითარება	76	3.9
ტექნოლოგიური მზადყოფნა	67	3.8
ბაზრის ზომა	103	3.0
ინოვაციები და სოფისტიკაციის ფაქტორები	**118**	**3.1**
ბიზნესის სოფისტიკაცია	113	3.5
ინოვაციები	121	2.7

რომ უკვე მეოთხე წელია, საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს აღნიშნულ ინდექსში.

კონკურენტუნარიანობის შეფასების 119 კრიტერიუმი 12 თემატურ ჯგუფში არის გადანაწილებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობაში აქვს – მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებს. ხოლო ყველაზე დაბალ პოზიციაზე (121-ე ადგილი) ინოვაციების კუთხით.

საქართველოს პოზიცია კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმების მიხედვით

საქართველო რეიტინგის პირველ ათეულში შემდეგი კონკრეტული მაჩვენებლების მიხედვით მოხვდა:

- ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო დროის მიხედვით – მე-2 ადგილი მსოფლიოში;
- ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურებით – მე-3 ადგილი;
- სავაჭრო ბარიერებით – მე-6 ადგილი;
- საბაჟო პროცედურებით – მე-7 ადგილი;
- ტვირთების სახელმწიფო რეგულაციების მიხედვით – მე-8 ადგილი;
- გადასახადების განაკვეთების დონით – მე-10 ადგილი.

ხოლო ყველაზე ცუდ პოზიციებზე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობით–138-ე ადგილი;
- უნივერსიტეტებისა და ბიზნესის კვლევებში თანამშრომლობით – 128-ე ადგილი;
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკით – 127-ე ადგილი;
- კომპანიების დანახარჯებით კვლევებსა და განვითარებაზე – 126-ე ადგილი;
- ადგილობრივი ფინანსური ბაზრებიდან დაფინანსებით – 126-ე ადგილი;
- მეცნიერებითა და ინჟინრებით – 122-ე ადგილი;
- ადგილობრივი პროდუქციის ხარისხით – 121-ე ადგილი.

საინტერესოა 2013 წელს რომელი კრიტერიუმების მიხედვით განიცადა საქართველომ მნიშვნელოვანი წინსვლა ან უკუსვლა 2012 წელთან შედარებით. წინსვლა არის შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საკუთრების უფლებების დაცვის მაჩვენებლით 120-ე ადგილიდან 85-ე ადგილზე გადაინაცვლა;

- სასამართლოს დამოუკიდებლობით - 91-ან 65-ე ადგილზე;
- შიდა კონკურენციის ზრდით - 123-დან 105-ზე;
- ექსპორტის მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ მოცულობით - 97-დან 76-ზე;
- საბანკო სექტორის სიძლიერით 82-დან 67-ზე.

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს კრიტერიუმი (გარდა ექსპორტისა) დგინდება კომპანიების უშუალო გამოკითხვის გზით და არ ემყარება ოფიციალურ სტატისტიკას. 2013 წლის შეფასებით, შესამჩნევი უკუსვლა იყო შემდეგ კრიტერიუმებში:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციებითა და ტექნოლოგიების ტრანსფერი - 101-ე ადგილიდან 113-ე ადგილზე გადაინაცვლა;
- სესხის აღების სიმარტივე - 98-დან 110-ე პოზიციაზე;
- სახელმწიფო ხარჯების არამიზნობრივი განაწილება - 58-დან 67-ზე;
- ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხი - 52-დან 57-ზე;
- გზების ხარისხი - 60-დან 65-ე ადგილზე.

აღნიშნული მაჩვენებლებიც კომპანიების უშუალო გამოკითხვას ემყარება.

საქართველოს უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს თუ შევაჯამებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: საქართველო შედარებით კონკურენტუნარიანია ინსტიტუტების განვითარებით, ინფრასტრუქტურით, შრომის ბაზრის ეფექტიანობით, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. სავალუტო კონტროლის არარსებობით, დაბალი დონის კრიმინალით, ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის ბიუროკრატიული პროცედურების ნაკლებობით.

პრობლემებია შემდეგი მიმართულებით: საკუთრების უფლებების დაცვაში, ინოვაციებში, საშუალო და უმაღლეს განათლების სისტემაში, მეცნიერებასა და კვლევების წარმოებაში, კონკურენციის დონეში შიგა ბაზარზე, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობაში, კვალიფიციურ სამუშაო ძალაში, პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების ნდობასა და პოლიტიკის არასტაბილურობაში.

გავრცელებულია აზრი, რომ აღნიშნულ რეიტინგში საქართველო ვერასდროს დაიკავებს მოწინავე პოზიციებს, რადგან მცირე ბაზრის მქონე ქვეყანაა. ეს არ არის სიმართლე, რადგან რეიტინგში მე-2 ადგილი უჭირავს სინგაპურს, რომლის მოსახლეობა 5.4 მილიონია (საქართველოს მოსახლეობაზე 1.2-ჯერ მეტი), ტერიტორია 718 კვადრატული კილომეტრია (საქართველოს ტერიტორიაზე 95-ჯერ მცირე) და



გრაფიკი 2. საქართველოს რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით



გრაფიკი 3. საქართველოს რეიტინგი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში

ეკონომიკის სიდიდით 40-ე პოზიციაზეა მსოფლიოში. პატარა ქვეყნისთვის შემზღუდველი ერთადერთი კრიტერიუმი, რასაც ინდექსი მოიცავს, მართლაც არის ბაზრის ზომა, რომლის მიხედვითაც საქართველოს 103-ე ადგილი უჭირავს. თუმცა აღნიშნული კრიტერიუმის გავლენა ქვეყნის ჯამობრივ მაჩვენებელზე დაახლოებით 5%-ის ფარგლებშია. იმავე მაჩვენებლით სინგაპური 31-ე პოზიციაზეა, მაგრამ მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების ნდობისა და მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობის მიხედვით. ინფლაციის დაბალი დონით, საჰაერო ტრანსპორტის ხარისხით, დაწყებითი განათლების დონით, მათემატიკური და სამეცნიერო განათლებით, საბაჟო პროცედურების სიმარტივით. მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია საკუთრების უფლებების და ინვესტორების დაცვით, ტალანტის მოზიდვით, საპორტო ინფრასტრუქტურითა და ექსპორტის სიდიდით ეკონომიკაში. აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ პატარა ქვეყანასაც შეუძლია გახდეს ყველაზე მეტად კონკურენტუნარიანი მსოფლიოში და მოიზიდოს იმ ოდენობის კაპიტალი, მაღალ ეკონომიკურ ზრდასა და ქვეყნის განვითარებას რომ შეუწყობს ხელს. ამისთვის არ არის აუცილებელი უხვი ბუნებრივი რესურსები, დიდი ტერიტორია, ათობით მილიონი მოსახლეობა, ევროპის ან აშშ-ის მეზობლობა. ეკონომიკური კეთილდღეობა ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოს, საკუთრების უფლებების დაცვას, გამჭვირვალე და ეფექტიან სახელმწიფო პოლიტიკას, სანდო სასამართლოსა და ინფრასტრუქტურის განვითარებას მოაქვს.

ზოგადად, საქართველოს მთავრობა ხშირად ეყრდნობა სხვადასხვა რეიტინგს საკუთარი საქმიანობის შესაფასებლად და ეს მართებულიცაა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში კი როგორც წარმატებების, ასევე წარუმატებლობების ყველაზე კომპლექსურ სურათს იძლევა და მისი გაანალიზება დაეხმარება პოლიტიკოსებს იმის დანახვაში, თუ რას აღიქვამს ქართული კომპანიები პრობლემად და რამდენად მწვავეა პრობლემები სხვა ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან შედარებით.

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან (World Economic Forum (WEF)) ერთად კონკურენტუნარიანობის საკითხს იკვლევს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (The Global Competitiveness Index (GCI)), რომელიც ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.

რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB, IMF, etc.) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების

შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები).

2015-2016 წლებში საქართველო 66-ე პოზიციაზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა 4,22 შეადგენს (ზომიერი მაჩვენებელი). აქაც მოსაწონია,. რომ ჩვენმა ქვეყანამ პოზიცია წინა წელთან შედარებით 3 საფეხურით გაიუმჯობესა.

საქართველოს რეიტინგი წინა წლებთან მიმართებაში შემდეგნაირად გამოიყურება:

კონკურენტუნარიანობის ანგარიშში არის გრძელი ჩამონათვალი საქართველოს წინაშე არსებული პრობლემებისა, რომელთა არსებობასაც ობიექტური საფუძვლები ნაკლებად გააჩნია და მათი აღმოფხვრა ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ასეთებია: საკუთრების უფლებების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, ფავორიტიზმის შემცირება მთავრობის გადაწყვეტილებებში, სახელმწიფო ხარჯების მიზნობრივად ხარჯვა, სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანად გამოყენება დავების გადაწყვეტისას. მცირე სააქციო წილის მქონე მესაკუთრეთა უფლებების დაცვა, ინფლაციის დონის შემცირება, საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება. დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, სამეცნიერო განათლებისა და კვლევითი შესაძლებლობების განვითარება, კვლევითი და ინოვაციური ცენტრების განვითარება და ა.შ.

საჭიროა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში აღნიშნული კრიტერიუმების გაუმჯობესებაზე მუშაობა. ასევე პრობლემებია თავად კანონმდებლობაში და მის აღსრულებაში. მიუხედავად განხორციელებული არაერთი საკანონმდებლო რეფორმისა ამ სფეროში, დღესდღეობით შეიძება თამამად ითქვას, რომ საქართველოს მოქმედი კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები ვერ უზრუნველყოფენ ბაზრის კონკურენტული გარემოს დაცვას. ქვეყანაში ჯერ კიდევ მრავალი პირობაა არაჯანსაღი კონკურენციის არსებობისათვის.

მიუხედავად კონკურენციის უგულებელყოფის მრავალი ცდისა, რასაც ქადაგებდნენ რადიკალური ფუნდამენტური და რელიგიური კონცეფციები, საზოგადოებამ ჯერ ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევს კონკურენციის გარეშე ცხოვრებას, ვინაიდან კონკურენცია განვითარების მთავარი მოტივია. კაცობრიობის წინაშე ყოველთვის იდგა არა კონკურენციის უგულებელყოფის, არამედ მისი ცივილიზებურ, ადამიანურ საზღვრებში მოქცევის პრობლემა. ადამიანი კონკურენციის ფენომენს აიძულებს იმუშაოს საზოგადოების სასიკეთოდ. ზოგ ქვეყანაში ამას ახერხებენ წარმატებით, ზოგში კი ვერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 Smith, A. (1776). *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations.* London: W. Strahan and T. Cadell.

2 *Шаститко, А. Е.* (2008). Конкуренция и антимонопольная политика в неоавстрийской теории. *«Экономическая политика»*, pp. 107–126.

3 *В.Бочко*. (2010). РАССЕЯННОЕ ЗНАНИЕ И ПРОБЛЕМА СКООРДИНИРОВАННОГО РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ. *ИЗВЕСТИЯ ГЭУ.*

4 *Р.Гусейнов.* (2012). *История экономических учений.* Омега-Л.

5 *Ф.Девор*. (2007). *НЕОЛИБЕРАЛИЗМ, ФРАНЦУЗСКАЯ ВЕРСИЯ. ИСТОРИЯ ПОЛИТИЧЕСКОЙ ИДЕОЛОГИИ.* . Париж,: Moscow, Russian Federation.

GLOBAL COMPETITIVENESS INDEX AND GEORGIA

RAMAZ OTINASHVILI
Professor of GTU
E-mail: otin-44@mail.ru
LILI USHVERIDZE
seeker of doctor's degree of GTU

Summary

The article "Global Competitiveness Index and Georgia" notes that the effective functioning of the market and healthy competition are the key prerequisites to attract investments. Under the modern business circumstances, companies are facing new competitive environment. Multidimensional interests, aggressiveness and dynamism of the competing parties have been determined and identified. In terms of modern management, we face the new problems, which can be solved by means of modern management methodologies.

Irrespective of the abundance of existing scientific papers related to the above problem, the issues of integrated/complex approaches as well as cooperation and competition interrelationships are still are not studied sufficiently enough. Competitiveness is one of the priority directions in the EU-Georgia relations within the framework of the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA). Rapid boosting of economic development in Georgia is critical to ensure the ability of the country to compete at the international level.

Along with the World Economic Forum (WEF) the issues of competitiveness are also studied by The Global Competitiveness Index, which measures the landscape of macro-economic environment, providing insight into the drivers of their productivity and prosperity.

According to the Global Competitiveness Report 2014 (GCR) Georgia occupies 69th place, which is three positions up compared to the same index of 2013. This encouraging positive trend for this particular index is being maintained by Georgia for four consecutive years.

Today Georgia is on the 66th position and ranking score is 4.22. Comparing with last year, our country moved up on the three levels, which is also a good trend. It is crucial for the Government to continue working hard on the Economic policy aspects to improve current ranking score in the near future, since notwithstanding of multiple efforts from radical fundamental and religious forces to foist their concepts of ignoring the competitiveness, the reality is that life is impossible without competitiveness since it is the driving force for development. The humanity historically was always facing the problem of placing competitiveness within the civilized, humane limits, rather than ignoring it. It is our job to make the phenomenon of competitiveness to work for the benefit of society. Some countries are successful in doing so, while others are not.